მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასება

ლელა ჯაფარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი სოციალურ მუშაობაში აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღანელი:შორენასაძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიასსახელმწიფოუნივერსიტეტი

თბილისი 2014 წ.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს აღწეროს სოციალური მუშაობის ისეთი მნიშვნელოვანი სფერო, როგორიცაა ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფთან - დამნაშავეებთან მუშაობა, კერძოდ კი მათი რისკებისა და საჭიროებების შეფასება.

შეფასების მოდელების ისტორიული განვითარების კვალდაკვალ ნაშრომი მიმოიხილავს დამნაშავეთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების მნიშვნელობას მათი რისკ ჯგუფების მიხედვით კლასიფიცირების, ცვლილებების განხორციელებისა და ეფექტური ინტერვენციის პროცესში. ნაშრომის კვლევითი ნაწილი მოიცავს მსოფლიოში გავრცელებული და კვლევების შედეგად დამტკიცებული ეფექტური შეფასების ინსტრუმენტებიდან ერთ-ერთის თარგმნილ ვარიანტს და ამავდროულად მის ექსპერტიზას პროფესიონალთა შეფასების საფუძველზე; იძლევა რეკომედაციებს ადაპტირების სამომავლო ეტაპებისთვის, რათა საქართველოს საჯელაღსრულების სისტემაში სოციალური მუშაობა იყენებდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს ინდივიდუალური მუშაობის დასანერგად და ეფექტური ინტერვენციის განსახორციელებლად.